პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 კვირა 17 აგვისტო № 192 (16318) ფასი 2 კაპ. 1975

17 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

საჰაერო ლაინერ ტუ-134-ის ეკიპაჟი, რომელსაც კომუნისტი ვლადიმერ ბექაური ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში. მან 117 პროცენტით შეასრულა მგზავრთა გადაყვანის, ფოსტისა და ტვირთების გადატანის წლის პირველი ნახევრის გეგმა. წელს ვ. ბექაურმა, რომელიც შტატგარეშე ინსტრუქტორი პილოტია, სამი მეთაური მოამზადა ტუ-134 ხომალდებისათვის.

სურათზე: ტუ-134 ხომალდის ეკიპაჟი მორიგი ფრენიდან დაბრუნდა. მარცხნიდან: შტურმანი იოსებ თომაშვილი, ხომალდის მეთაური ვლადიმერ ბექაური, მეორე პილოტი სულიკო შავიძე, ბორტმექანიკოსი მიხეილ შესხიძე.

ფოტო: ბ. ბინზბურგის ფოტო.

კედლაგოგთა დიდი საზრუნავი

ყოველ პედაგოგთა დიდ საზრუნავზე იქნება საფუძვლიანი სტატიანი აგვისტოს ტრადიციულ თათბირებზე. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები თათბირის წინაშე წარსდგებიან მოხსენებით — სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების მდგომარეობა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ამოცანები.

საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ სპეციალური დადგენილებით დააკისა ყველა კომკავშირულ კომიტეტს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მომზადებასა და ჩატარებაში. სკოლისა და კომკავშირის მტკიცე შემოქმედებითი კავშირის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირისი ღრმად გააანალიზებენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მოშუამის გზებსა და მეთოდებს ახალგაზრდობის კომუნისტური იდეურობისა და სკკპ XXV ყრილობისათვის ღირსეულად შეხვედრის ხულიკვეთების გამოსამუშავებლად. აგვისტოს თათბირების დღეებში ყველგან ჩატარდება მასწავლებლებთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა საქალაქო კომკავშირული კრებები, რომლებზეც განიხილება მასწავლებლთა კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები მოსწავლეთა კომუნისტური იდეურობისა და სკკპ XXV ყრილობისათვის მომზადების სულისკვეთებით აღზრდის გასაუმჯობესებლად.

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები წინ უძღვის ცოდნისათვის ახალი დიდი ლაშქრობის — ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ბუნებრივია, იგი დასახავს უკეთ სწავლების, უკეთ აღზრდის, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესების გზებს. თათბირების მუშაობას, რომელიც წარიმართება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით და კონკრეტული დახმარებით, წითელ ზოლად უნდა გასდევდეს ჩაინს სკოლებში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრაოდ შეუპოვარი ბრძოლა. აგვისტოს თათბირებს ხომ მოშუამა მოუწევთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაშლილი პრინციპული ბრძოლის, რეკუპუბლიის იზოვრების ყველა სფეროში მოშუამის ლენინური სტილის დამკვიდრების პირობებში.

არასოდეს არ ყოფილა რესპუბლიკაში ასე ნამდვილი პარტიული მზრუნველობით გარემოსილი ჩვენი სკოლა, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა როგორც დღეს. ამ პარტიულ ზრუნვას სკოლამ ჯეროვნად უნდა უპასუხოს—მტკიცედ დაუკავშიროს სწავლება აღმზრდელობითს საქმიანობას, გააუმჯობესოს სწავლების პროცესში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, განამტკიცოს მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა.

დისციპლინა და წესრიგი, რასეც ყველაზე მოგვიწოდებს პარტია, უპირველეს ყოვლისა უნდა იგრძნობოდეს სკოლაში. აქ ყალიბდება მომავალი მოქალაქე, აქ ხდება მისი სულიერი სამყაროს გაჟღურჩქნა. სკოლიდან ცხოვრებაში გასული ბავშვი და ქალიშვილი უნდა იყოს არა მარტო მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებული, ზრდილი, დამოუკიდებელი შრომისათვის მზადმყოფი, არამედ ამ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით გატაცებულიც. სკოლა ჩვენი ცხოვრების უდიდესი სიკეთეა, უშრეტი წყაროა ჩვენი საზოგადოებისათვის, და ეს წყარო სუფთა, ანკარა უნდა იყოს.

ამიტომაც ბუნებრივია მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების სექციური სხდომების სანიმუშო თემატიკაში საჭირონობი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა შრომითი სწავლების, შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის საკითხებს. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლება მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს შრომითს სწავლებას, თანამედროვე წარმოების ტექნიკურ, ტექნოლოგიურ საფუძვლებს. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეს პროფესიული ორიენტაცია, ჩაუნერგოს კომუნისტური შრომის სიყვარული, პატივისცემა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საკითხებს. კვლავ არის შემთხვევები, როცა ხასკოლო ახაზის ბავშვი ამა თუ იმ მიზეზით გადის სკოლიდან და ადარ სწავლობს. ასიდან ათი ბავშვი არ ამთავრებს თავის დროზე რვაწლიან სკოლას. ამ და მსგავს ფაქტებზე მთელი ხერხოზულობით უნდა იმსჯელონ პედაგოგებმა, განათლების ფრონტის მუშაკებმა თავიანთ აგვისტოს ფორუმებზე.

აგვისტოს თათბირები გულგრილი ვერ დარჩებიან სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობის მიმართ. ჩვენს გაზეთში არაერთი კრიტიკული გამოსვლა იყო სახკოლო მშენებლობაში ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენისა და ნაკლოვანებების წინააღმდეგ. სიგნალები და კრიტიკული წერილები კვლავაც მოდის. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა, შეფმა საწარმოებმა ყველაფერი უნდა იღონონ სასკოლო მშენებლობის დასაჩქარებლად და არა მარტო დასაჩქარებლად, მაღალხარისხოვნად ახაშენებლადაც. ცოტა როდია იმის ფაქტი, რომ სკოლებს აშენებენ არასრულყოფილად, რომ ახალ სკოლებს ბევრი რამ აკლია, მათში ბევრი რამ დაუმთავრებელია. უპირველესი პირობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის შენობა და მისი ჯეროვნად აღჭურვაა და სკოლები ამით უნდა უზრუნველყოთ. 1 სექტემბერი კარს მოგვდგა. როგორ არიან ამ დღისთვის სკოლები მომზადებული? აი ხაკითხი, რაზეც მსჯელობა იქნება აგვისტოს თათბირებზე.

სწავლების, აღზრდის ლენინური წინასწარგანჭვრეტა მოგვცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა:

„ჩვენი დრო გრანდიოზული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეა. იგი ხაზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს, დიდ მოთხოვნებს უყენებს თვითეულ ადამიანს, მის ცოდნას, პროფესიულ მომზადებას. ეს განსაკუთრებით უნდა აღელვებდეს ახალგაზრდა თაობას, რომელსაც ხვალ დაეკისრება მთელი ზრუნვა ჩვენი ხახელმწიფოს მატერიალური და სულიერი ძალების შემდგომი გაძლავლებისათვის. ახლა ახალგაზრდობის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგას ამოცანა — დღენიადაგ შეიცოდნოს და გაიღრმაოს ცოდნა, დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს. და ეს შეეხებათ არა მარტო ახლანდელ და მომავალ ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და სხვა სპეციალისტებს, არამედ აგრეთვე მუშათა კლასს, ხოფლის მშრომელებს“.

ეს ნათელი პროგრამაა ჩვენი ხაშუალო, სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლებისა და უდიდესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელიც ხორციელდება და კვლავაც განუხრელად უნდა განხორციელდეს. ამას მოითხოვს ხალხის, სახელმწიფოს ინტერესები. ეს ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

პირველი სექტემბრიდან სამოქმედოდ შემოღებული იქნება „სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონი“, მიღებული საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ. იგი შეიცავს სახალხო განათლების ძირითად პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს ყველა მოქალაქის თანასწორობას განათლების მიღების დროს, ყველა ბავშვისა და მოზარდის სავალდებულო განათლებას, ახალის ინტერნაციონალიზმისა და ჰუმანიზმის მაღალ იდეალებს...

ახლა, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად წარმატებით აგვირგვინებს პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების განხორციელებას — IX ხუთწლედის გრანდიოზულ გეგმებს, თავდადებით იღვწის პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდია ჩვენი სკოლის როლი და ამოცანები მოზარდი თაობის აღზრდაში. ამაზე უნდა იმსჯელოს დიდმა პედსაბჭომ.

ხუთწლედი — ვადამდე!

მკათრი ინსპექტორი

ვიმკელეგი გადაეცათ

ბურის მაკაში

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონში მალე დამთავრდება მოსავლის აღება. ბაზალეთის კოლმეურნეობაში, სადაც ხორბლეული 955 ჰექტარზე აიღეს, ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 21 ცენტნერი მარცვალი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საკვების დამზადებაც. ამ დოღებში კოლმეურნეობას გადაეცა „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი ვიმპელი.

თიანეთი. (საკ. კორ.). ერწოს საბჭოთა მეურნეობიდან „კომუნისტის“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალმა ვიმპელმა ზარაძეების კოლმეურნეობაში გადაინაცვლა.

ჩაის კრეფაში

გაზეთ „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვიმპელი წლევანდელ მეორეჯერ მიეკუთვნა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის კოლმეურნეობას. აქაურმა მეჩაიეებმა წარმატებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება. კოლმეურნეობაში მოკრეფილია 488,6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 486 ტონისა.

მოკრეფილი ნედლეულის 74,9 პროცენტი პირველი ხარისხისაა. თავი ისახელეს მეჩაიეებმა ნაში კალანდრიშვილმა, ნორა ნიკოლაიშვილმა, დომნა მორჩილაძემ, მერი გოგუაძემ, ციისანა სისარულიძემ, მერი გვარჯალაძემ, ნათელა ჩხაიძემ.

შუხუთელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ 70 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ინიციატორთა დევიზით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. მათ შვიდი თვის საერთო პროდუქციის გამომშვების გეგმა 107 პროცენტით შესრულეს, ხოლო რეალიზაციისა 108 პროცენტით. საქართველოს მრეწველობის მუშაკთა მიერ ნაკისრი ვალდებულება—200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების ინგარიშში ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს 3 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება, 7 თვეში კი გამოუშვეს 3 მილიონ 102 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

თბილისელ მეკოპეთა მაგალითისამებრ შრომობენ და სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის, ჩაის საწნები ფაბრიკის, მექანიკური კომბინატის, ლუდისა და ხილეული წყლების, ყველეკარაქის, საკონსერვო ქარხნების კოლექტივები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადახდილ თავიანთ შესაძლებლობებს და გადაწყვეტეს წლის ბოლომდე ვალდებულების ზევით გამოუშვან 1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

თელავი. (საკ. კორ.). წინდის ფაბრიკის (დირექტორი ლ. სკანავა) კოლექტივი, რომელიც ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეა, სულ უფრო აძლიერებს შრომითს ტემპს და ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. საწარმოს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 8 თვის გეგმა 7 თვეში გადაჭარბებით შესრულა. გეგმათ გათვალისწინებული 1.936 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 1.995 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა 2.217 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, რაც დავალებას ბევრად აღემატება. ფებრიკამ 7 თვეში სამშობლოს მისცა 382 ათასი წყვილი ზეგეგმითი წინდა.

ფაბრიკის მუშები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისელ მეკოპეთა ინიციატივას და იკისრეს დამკვრელურად გამოცხადონ წლის ბოლომდე დარჩენილი ყოველი დღე.

ახალციხე. (საკ. კორ.). აქატდიატმიტის მაღაროთა სამშრომელოს კოლექტივს ღირსეული წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ ნაკისრი ვალდებულების — 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების საქმეში. სამთოელებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის დავალება, გამოუშვეს 1.005 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950 ათასი მანეთისა. გეგმის გადამეტებით ამოღებულია 630 კილოგრამი ტექნიკური აქატი და 3.005 ტონა დიატომიტი.

აქატის კარიერებსა და დიატომიტის მაღაროებში დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად; ეს შეჯიბრება თბილისელ მეკოპეთა მაგალითისამებრ გაიმართა დევიზით: გავაუქმობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები ყოველ საამუშაო ადგილზე.

ეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს. ბრიგადას ხელმძღვანელობს ჯულიეტა წიკლაური. ამ ერთსულოვანმა კოლექტივმა კარგი საქმეებით გაითქვა სახელი. ქალიშვილებმა ხუთწლიანი დავალება ერთი წლის წინათ შეასრულეს.

ისინი საწარმოში ერთ-ერთი პირველნი დადგნენ სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის შრომითს ვახტზე და გადაწყვეტეს ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ მეათე ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

სურათზე: თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): მკერავები თინა აფცაიური, ნუნუ ქავთარაძე, სალმკრის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნინო სეფიაშვილი, დარეჯან აბესაძე და ნანა გურგაშვილი.

ბ. ბოგრბუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ავიატორთა ფეიმი

მოსკოვში

15 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს. აქ შეიკრიბნენ წარმომის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, დედაქალაქის პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსკოვის გარნიზონის მეომრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

კრებაზე გამოვიდნენ მშრომელებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საავიაციო მრეწველობის ხელმძღვანელები, მხედარმომავრები.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკ. ფესის კორ.).

თბილისში

15 აგვისტოს თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. ა. მანელაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. დ. გაბუნია, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. კრაპივინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ა. მ. ოვერჩუკი, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სახხედრო ოლქის შტაბისა ოპოლიტსამმართველოს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსა და თბილისის ავიასაწარმოს პასუხისმგებელი მუშაკები, სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ვეტერანები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ნ. გოშაძემ. შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა გ. უ. დოლნიკოვმა.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

თვითეულის წვლილი საერთო საქმეში

საქართველოს მრეწველობის „მუშაობის შედეგები მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე ცხადყოფენ, რომ საწარმოთა უმეტესობაში დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რასაც შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს, რეპუბლიკის ინდუსტრიამ ამ ხნის განმავლობაში პროდუქციის რეალიზაციის საწარმოო პროგრამა შეასრულა 103,6 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 103,8 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ მაჩვენებლების ტემპის ზრდამ შეადგინა 110,4 და 110.5 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერებისამ — 108,6 პროცენტი.

მთლიანად რესპუბლიკაში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 113,9 მილიონი მანეთის პროდუქცია და წარმოებულია 119,1 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის საშუალო სადღეღამისო წარმოება უნდა შეადგენდეს 20,2 მილიონ მანეთს. ივნისში უკვე მიღწეულ იქნა 21,2 მილიონი მანეთის დონე. მაგრამ ივლისში იგი რამდენადმე შემცირდა თუმცა მთლიანად შვიდი თვის მანძილზე საშუალო სადღეღამისო წარმოების მაჩვენებელი იქნა თვის მაჩვენებელთან შედარებით 18,9 მილიონი მანეთიდან 19 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ახლა, როცა წლის დამლევამდე სულ ცოტა დრო დარჩა, ყოველად შეუძლებელია დავთმოთ მიღწეული პოზიციები.

წარმოების ზრდის ტემპი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ჩამორჩენილი საწარმოები. ასეთი საწარმოები კი კვლავ საკმაოდ ბევრია. შვიდი თვის განმავლობაში მათ სახალხო მეურნეობას დააკლეს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია. მათ შორის მნიშვნელოვანია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხვედრითი წონა.

ამ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზებთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. აკ საუბარი გაიმართა არა მარტო იმ კოლექტივებზე, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები, არამედ იმათზეც, რომლებმაც ვერ შეასრულეს საექსპორტო მიწოდებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი.

თათბირზე გამოსულმა მთელი რიგი გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ჩამორჩენის გამომწვევ მიზეზებზე, მისი დაძლევის ღონისძიებებზე, იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საწინდარია. გამოსულთა დიდმა უმრავლესობამ გამოთქვა რწმენა, რომ მათი კოლექტივები მალე გამოასწორებენ ჩამორჩენას. ამისათვის ყველა რეალური შესაძლებლობაა.

თათბირის შედეგები შეჯამდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ. (საქინფორმი).

უზბეკურ ენაზე

ტაშკენტი, (საკუთარი), გამომცემლობა „უზბეკეტანმა“ უზბეკურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეთვრამეტე ტომი. ტომი დასამუშავებად მოამზადა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა.

ახლოს მსოფლიოს

ერევანი. (საკუთარი კორესპონდენტი გ. მელქუმიანი). ერევანში მხატვრის სახლში გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თვითმოქმედ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს.

200-მდე ტილო, აკვარელი, გრაფიკული ნამუშევარი ასახავს ფრონტელთა გმირობას, ზურგის თავდადებულ მშრომელთა — კასპიის მეგავთობეთა, რუსთაველ მეტალურგთა, სომხეთის საწარმოების მუშათა შრომასა და ცხოვრებას. ექსპოზიციის მონაწილენი არიან კოლმეურნეები, პედაგოგები, ექიმები, სტუდენტები, ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების თვითმოქმედი ხელოვნების სტუდიათა აღზრდილები.

მიფრინავს „კოსმოს-755“

1975 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-755“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ეუწყებს მიღებულ ინფორმაციას. (საკინფორმი).

ხელი მოაწერეს

თანამშრომლობის შეთანხმებას

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს დელეგაციისა და მექსიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მოლაპარაკების შედეგად 13 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და მექსიკის თანამშრომლობის შესახებ. ამ შეთანხმების შესაბამისად მრავალმხრივი თანამშრომლობა განხორციელდება ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისა და მექსიკის შეერთებული შტატებისათვის საინტერესო საკითხებზე.

შეთანხმების დადება გამოხატავს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მისწრაფებას კვლავაც გააფართოონ განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობა, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა მათი ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სახელით — საბჭოს მდივანმა ნ. ფადეევმა, მექსიკის შეერთებული შტატების სახელით — მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. რაბასამ.

(საკ. ფესი).

პირველი პროდუქცია

არარატის ველზე

ოქტემბერიანი. სომხეთში არარატის ველის ცენტრში აშენებულმა ავეჯის უდიდესმა ფაბრიკამ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა თავისი პროდუქციის პირველი პარტია, საქონლის ნომენკლატურაშია სასწავლო კომპლექტები სასკოლო ლაბორატორიებისათვის, წიგნის კარადები, საწერი მაგიდები.

ოქტემბერიანის ფაბრიკა მაღალმექანიზებული წარმოებაა, როცა საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს, იგი გამოუშვებს 8 მილიონი მანეთის პროდუქციას — ოროთახიანი ბინის ავეჯის გარნიტურებს და სხვა ნაწარმს. (არმენპრესი).

კორეელი ხალხის დღესასწაული

მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები 13 აგვისტოს შეიკრიბნენ კავშირების სახლის ფოიერიან დარბაზში, რათა საზეიმო ვითარებაში აღენიშნათ კორეის განთავისუფლების 30-ე წლისთავი.

14 აგვისტოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში კვონ-ჯიგენმა დარბაზობა გამართა კორეის განთავისუფლების 30-ე წლისთავის გამო.

ახლახან გამოვიდა

მ. ი. კალინინის სიტყვების და სტატიების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ დასაბეჭდად მომზადებული მ. ი. კალინინის სტატიებისა და სიტყვების კრებული, რომლებიც მიეკუთვნება 1941 წლის ივლისიდან 1946 წლის თებერვლამდე პერიოდს. ამ ტომით, რომელიც მ. ი. კალინინის ცხოვრების უკანასკნელი ხუთი წლის უმნიშვნელოვანეს საშრომებს შეიცავს, ინსტიტუტმა, დაამთავრა მისი რჩეული თხზულებების გამოცემა (პირველი სამი ტომი 1960-62 წლებში გამოვიდა).

წიგნი მომზადებულია როგორც საიუბილეო გამოცემა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის დაბადების 100 წლისთავისათვის. (საკინფორმი).

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს XIII პლენუმი

თბილისში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს XIII პლენუმი, რომელის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, სამინისტროთა და უწყებათა, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, დიდი სამრეწველო საწარმოებისა და შენებლობების ხელმძღვანელები, დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების წარმომადგენლები, პროფკავშირული აქტივი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენება „რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრასთან დაკავშირებით“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შეიდრეულ შეკავშირებული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო და უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის სოციალურ-ეკონომიურ პროგრამას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა.

საქართველოს სს რესუბლიკამ ფართოდ გაიშალა მზადება სკკპ XXV ყრილობისათვის. იგი მიმღინარეობს მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და შრომითი ენთუზიაზმის, მეცნიერ-თა ფუნქციონალური დაგალებათა და ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლის გითარებაში.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში შრომითი კოლექტივები და წარმოების ნოვატორები ბევრი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორები არიან.

პროფკავშირულ ორგანიზაციათა აქტიური მხარდაჭერით მნიშვნელოვან წამოწყებათა ინიციატორები იყვნენ თბილისის ფოფოლა-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკობეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ბ. ერტინიძე**, ენგურჰს ჩიის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. მეუნარგია**, № 15 სამშენებლო ტრესტის № 2 სამშენებლო სამართველოს კომუნისტური სამეურნეო-განაოთმშენებელი ბრიგადის ბრიგადირი **გ. ქართველიშვილი** და ბევრი სხვა. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ისწრაფვის ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXV ყრილობას, გამოიხატა ინიციატივა, რომ რაციონალურად გამოიყენონ საწარმოო ფართობები. ბათუმელთა წამოწყება ფართოდ გავრცელდა.

1975 წელს საქართველოს მშრომელთა წინაშე დასახული დიდი ამოცანები. ამასთან ერთად უნდა აღმოიფხვრას ხუთწლედის პირველ წლებში დაშვებული მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. დადებითი ნაყოფიც გამოიღო ღონისძიებებმა, მაშალებიც სკკპ-საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ხორცელდება რესპუბლიკაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და საწარმოო მაჩვენებლების გადიდებისათვის.

რესპუბლიკა მტკიცე ნაბიჯით მიდის მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპისაკენ. მიმღინარე წლის პირველ ნახევარში სამრეწველო წარმოების მატების ტემპმა შეადგინა 110,5 პროცენტი, რაც 6,9 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 8,5 პროცენტით, ეგების გადამეტებით გამოვლენილია დაახლოებით 89 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროფკავშირულ ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობით განხორციელდა მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებანი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დასაჩქარებლად.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. გასულ წელს მოწეულია ჩაის უმაგალითო მოსავალი, გაიზარდა ყველა სხვა კულტურის მოსავლიანობა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მნიშვნელოვნად შემცირდა არარენტაბელურ მეურნეობათა რიცხვი. გაუმჯობესდა მაჩვენებლები მშენებლობის, ტრანსპორტის, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახეობათა მომსახურების დარგში.

კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **შ. შარტავა**, თბილისის ფოფოლა-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკობეთა ბრიგადირი **ბ. კურტანიძე**, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **კ. გაზაევი**, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ყიფიანშვილი**, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. გოგიაშვილი**, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **კ. შავგულაშვილი**, საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ლაკაე**, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქრო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ენუქიძე**, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი **ვ. სიბოლლევი**, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი **ა. ცქიტიშვილი**, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ჯიკია**, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის № 2, სამშენებლო სამმართველოს სამეურნეოთაშორისო ბრიგადის ხელმძღვანელი **გ. ქართველიშვილი**, მახარაძის პროფკავშირთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **ა. გობრონიძე**, ბათუმის მანქანათსამშენებელო ქარხნის საპარტიო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხარატი **მ. რუძიაკი**.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა სათანადო შეფასება მისცეს მიღწეულს და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და საზოგადოებრივი მომზადების ეფექტიანობის ამაღლების გამოუყენებელ რეზერვებს. ცალკეული პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები სრულად ვერ იყენებენ სოციალისტური შეჯიბრების შესაძლებლობებს სახელმწიფო გეგმებისა და შრომითი კოლექტივების ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ზოგჯერ ფორმალურად ეკიდებიან მოწინავე საწარმოო გამოცდილებას, მნიშვნელოვან პატრიოტულ თაოსნობათა და წამოწყებათა გავრცელებასა და დანერგვას, ეფექტიანად ვერ იყენებენ შეჯიბრების მონაწილეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებებს.

ზოგიერთი პროფკავშირული ორგანო ურიგდება იმას, რომ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი ყოველთვის არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, არის სამუშაო დროის ცდაკარგვის, მოწყობილობების ზენორმატიული მოცდენის შემთხვევები. მთელ რიგ საწარმოებში ვერ სრულდება ახალი ტექნიკის, შრომატევადი და ხელის სამუშაოების მექანიზაციის ღონერგვის დაკალების, ნელი ტემპით ინერგება გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი.

ცალკეული პროფკავშირული კომიტეტები სათანადო მომთხოვნელობისა და სიმტკიცეს არ იჩენენ შრომითი საყოფაცხოვრებო მომსახურების, მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში, რის შედეგად მთელ რიგ მეურნეობებში, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში, ეგი დამაკმაყოფილებელი არ არის. ჯერ კიდევ არის საწარმოები (საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქო“, ტუთიოსის ლითოფონის ქარხანა, რუსთავის ქიმიური კომბინატი და სხვ.), სადაც წარმოების სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობები არ შეესაბამება მოქმედ ნორმებს. რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და მშენებლობის სამინისტროს საწარმოები სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი მუშათა სასადილოებით. სოფლის მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მშენებლობის, მოსახლეობის - საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა საწარმოებში სათანადოდ არ ზრუნავენ სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოებისათვის.

ჩამორჩენა საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, ეაკრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებაში უარყოფითის გაგლენას იმდენს საწარმოო მაჩვენებლებზე.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა პროფკავშირულ ორგანიზაციათა მთელი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარმართონ მასების მოზილობა-ფი აქტივობის განვითარებისათვის, დაუმორჩილონ იგი სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის ამოცანათა წარმატებით განხორციელებას.

უნდა მიგაღწიოთ იმას, რომ თვითეული საწარმოს კოლექტივი ვადამდე, მაღალხარისხოვნად ასრულებდეს გეგმებს წარმოების მთელი ციკლის, დადგენილი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით, დაჩქარდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. მაქსიმალურად უნდა ეიყენებდეთ წარმოების რეზერვებს, მომჭირნეობით, რაციონალურად ვხარჯავდეთ ნედლეულს, მასალებს, ელექტროენერგიას, სათბობს, აღმოვფხვრიდეთ მიზეზებს, რომლებიც ეწვევიან დანაკარგებსა და უნაყოფო ხარჯებს.

სოფლის მეურნეობაში უნდა მივაღწიოთ ტექნიკის მაღალი წარმადობის ექსპლოატაციას, თვითეული ჰექტარი მიწის ყაირათიანად გამოყენებას.

პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან აქტიურად იყენებდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ყველა ფორმას, თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა ფორმასა და საშუალებას, მკაფიოდ და გასაგებად განმარტავდნენ საწარმოთა წინაშე დასახულ ამოცანებს.

პროფკავშირის კომიტეტები და სამეურნეო ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან სისტემატურად ანალიზებდნენ სოციალური განვითარების გეგმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების, სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, საწარმოთა კოლექტივების საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის კომპლექსური გეგმების შესრულებას.

პროფკავშირებმა უნდა გაუმჯობესონ კულტურულ-მასობრივი მუშაობა, რომლის მიზანია მასების აღზრდა მაღალი შეგნებულობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების ამოცანათა წარმატებით შესრულება მოითხოვს, რომ რესპუბლიკის ყველა პროფკავშირული ორგანოს კიდევ უფრო გაუმჯობესოს მუშაობა მშრომელთა შორის.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. კოლბასინმა.**

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წერილი ყველა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციისადმი სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

პლენუმმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოს პროფსაბჭოს XII პლენუმის შემდეგ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ. (საქინფორმი).

კოლხეთის მიწა

მამული ჩემი

ლამის წყვდიადში შავად ლაპლაპებდა ზღვა. დროდადრო მძიმედ ამოიხვნეშებდა და ნაპირს მოახეთქებდა ხოლმე თითოეროლა ტალღას — შტორმის მაცნეს. ვიღაცის თეზის ხმამ დაარღვია ღამის სიჩუმე და მომესმა სიტყვები ნაწყვეტი:

— დილისათვის ზღვა პლაჟს მთლიანად გადარეცხავს...

ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ბევრჯერ გამიგონია შეშფოთებით ნათქვამი: ემანდ ზღვამ არ შთანთქას აქაური მშვენიერი პლაჟი, რომლის გაყოლებით ახალი სასტუმროები, და ჯანმრთელობის კერები შენდება. შეშფოთების მიზეზი კი არის, შარშან ზღვამ მას საკმაო ზიანი მიაყენა.

ნაპირის აღსადგენად ამ კარიერებიდან მოზიდეს ასობით კუბური მეტრი ღორღი. ზღვის ჩირქვეულობა შეტად ძვირი ჯდება და უფრო გულდინჯად რომ იყვნენ, ადამიანები აქ სპეციალურ დამცავ ნაგებობებს აშენებენ.

დილაადრიან ფოთი გავიარეთ. რიერაკი იყო, მაგრამ ცხელოდა და ზღვა უსამოვნო ნისლში გახვეულიყო. ასე მეგონა, ნისლი ზღვის უზარმაზარი სიღრმიდან ამოდენიან. და, სწორედ იმ ფუთის მომაგონდა რუსეთის ფლოტის კაპიტან-ლეიტენანტი ლ. ეუმანი, რომელმაც პირველმა აღნიშნა გასული საუკუნეში შავი ზღვის ქანონების არსებობა, რომლებიც ნამეკვეს ადგილობრივ ნაპრიგნი. ამ აღმოჩენიდან სამოცდაათი წლის შემდეგ ფოთის ნავსადგურის სარეზერვოსაკენ მრავლად ნაოდენდ დაიძრა რიონის ენინი. უბედურების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ჩაძირეს ერთი საესე ძველი გემები. მაგრამ მოულოდნელად რიონმა კალაპოტი შეიცვალა, გადმოიაცალა. რამდენიმე კილომეტრით ჩრდილოეთისაკენ. და ყველამ შვებით ამოიხეხეთქა. მოდი და გაიგე რამე. ამ ბოქმაკ, საიდუმლოებით აღსავსე მდინარეს! ბეღნი მარილაც რომ ოქროს ლამი, რომელზეც ყველაფერი დღეობით კარ აზრიდა. ირამენ საათობით: რიონი ჭაობიც არის, ზღვის ავი მეგობარიც.

საქართველოს ამ მხარეში ოდითგანვე წარმოებს ბრძოლა ყოველი მტკაველი ნაპირისათვის, ყოველი მეტრი ბიზისათვის. ჯერ კიდევ პიპოკრატეს წერდა: „ფაზისზე მცხოვრები ხალხების ქვეყანა ჭაობიანი, ცხელი, ტყიანი და ნესტიანი მხარეა. წლის ყოველ დროს იქ ძლიერი, კოკისპირული წვიმები მოდის. იქ ადამიანები მთელ სიცოცხლეს ჭაობებში ატარებენ“.

დიდი ხანია ვაკრი ჭაობები კოლხეთში, ეკალაპტის კოროზიებმა, „მოსპო მალარიის კოღო, მაგრამ სამეელიორაციო სამუშაოები დღემდე გრძელდება. როცა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ სანაპიროზე მივდიოდით, ვნახეთ ამომშობილი, არხებით მოჩითული მიწები. აქ კი მიწა განსაკუთრებულია, და თავისი სტრუქტურით კი არა, არამედ ამ ღირსებით, რომ იგი ზღვასთან მდებარეობს. მადლიანი ეარსკვლავის ქვეშ. სწორედ ამიტომაც ამ მიწას ფრთხილად უნდა ეუდგებოდეთ. მისი სწორი გამოყენების შესახებ ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ კონსტანტინ პაუსტოვსკის მოთხრობის „ოქლხეთის“ გმირები. სწორედ ამაზე მესაუბრა დასავლეთ საქართველოს აგრონომიური ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ადამ ბერიძე. იგი მიხსნიდა, თუ რას ნიშნავს აქაური ბოქლიური მიწის ჰექტარი: თვალწინ წარმომიდგა მანდარინით დახუნძლული ათასობით ხე, მელეონნახევარი ხალის სურნელოვანი ბოთ, ჩაის ბუჩქების მშვიდრო რიგები.

თანაშრომლები ლაბორატორიისა, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული ათასობით სპეციალისტი, ეძებენ ციტრუსოვანთა და ჩაის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების გზებს, სედიან სხვადასხვა კომპონენტს, რომლებიც ემენტის მტვერში, ნავთობგადამამუშავებელი და ბაქრის მრეწველობის ნარჩენებში, მატნენის ღუმელების წდაშია. მარტო ერთ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, როგორც სპეციალისტები ამბობენ, წელიწადში ათასობით ტონა ნარჩენი გროვდება, რომელიც მცენარეთათვის უაღრესად ძვირფას მიკროელემენტებს შეიცავს, მკვლევარებმა აღმოაჩინეს ნამდვილი „ჩაის ქვა“ — სერპენტინიტი. მისი მარაგი მთებში დიდია, ის მაგნიუმს შეიცავს, ისე რომ უხდება ჩაის ბუჩქებს.

მიჩვეულს ხელოვნურისა და მახარაძის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა მოსავლის ზრდის ცხრილი. მაგალითად, კოლმეურნეობა „გურიანთაში“, სადაც ლაბორატორიის რეკომენდაციები გამოიყენეს, მოსავალი ერთიორად და მეტად გაიზარდა.

ავროქიმია და მიწების სწორი გამოყენება — აი ის ორი მიმართულება, რომელთა გადაწყვეტისათვის დღეგნიადაგ მუშაობს აქაურის პარტიული ორგანიზაცია. ამაზე მეუბნებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი იური უნგიაძე. როგორ არ უნდა იფიქროთ ამაზე, თუ აჭარის ამს რესპუბლიკა ჩვენის ძირითადი ციტრუსს ბაღია! იური უნგიაძე, ისევე როგორც მოთხრობა „ოქლხეთის“ გმირი მოხუცი შალაკო, ოცნებობს იმ დროზე, როცა ვეშებს აქაურ ნავსადგურებში მოიზიდავს „არა შუქურის ცეცხლი, არამედ ლიმონის სურნელი.“

სადღაც ქობულეთთან ერთერთ სოფელში წყურვილი ფორთოხლით მოვიკალით. აქაური ფორთოხალი ამერიკულზე უფრო წვნიანი, სურნელოვანია, კანიც უფრო თხელი აქვს. ადგილობრივ ციტრუსოვანთა ბაღებში რაოდენაირი სასიამოვნო სუნი ტრიალებს.

განუმეორებელი ვგმო, და სურნელი; რა თქმა უნდა, საოცრად ცხოველმყოფელი კლიმატის წყალობაა. მაყვლის ბუჩქები აქ ზაფხულის განმავლობაში ორ მეტრზე იზრდება ხოლმე. სუბტროპიკები! ამ სიტყვით ყველაფერი როდი გამოიხატება. ადგილობრივ კლიმატს მრავალი მხარე აქვს, აჭარის ოდდაქალაქიდან ოცდაათ კილომეტრზე გაიგონებთ: „ჩვენთან ბათუმზე უფრო მშრალი პაუაო“. ერთ-ერთი ასეთი მიკროაიონი აირჩიეს მეცნიერებმა სხვადასხვა მასალის სიმტკიცის პროგნოზირებისათვის — ეს არის მდინარე ნატანების შესართავი, სადაც თბილა და ტენი საკმარისად არის, მაგრი კი გაჯერებულია ზღვის მარილებით, ამ პირობებში ბევრი მიკროორგანიზმი იბადება, რომლებიც ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელშიც კი ამარებიან ხოლმე.

ვაჟა რუსეფშველმა, კოლხეთის კლიმატური გამოცდის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა. მეზენეს, თუ როგორ შლის აქაური ჰავა ხე მიკრობები რამდენიმე კვირასა და თვეში საღებავებს, მერქანს, ლაქს, რეზინს, საპონ ნიეთიერებებს. ყოველნაირად რომ შეამოწმონ ნაწარმის სიმტკიცე, ნიმუშებს ღია ცის ქვეშ აწყობენ. „გამოცდას გადიან“ გენერატორები, ტიგას სანათები, მოტოციკლის დისკოები, ლითონ-კერამიკა. ბევრ სამრეწველო ნაწარმს ვერიფიერი დაალო აქაურმა კლიმატმა. გაანზოგადებენ რა მრავალი წლის დაკვირვებას, მეცნიერები ადგენენ სხვადასხვა მასალის „დღეგრძელობის პასპორტს“.

ბევრი საგანი, რომლებმაც ვერ გაუძლო კოლხეთის ბუნების შეტევას, გაეცალებით დიდხანს დარჩენოდა, ტუნგის ზეთში დამზადებული სალებავით რომ დაეფართო. ქობულეთის მახლობლად ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ტუნგის კოორმეტი და მათი ნაყოფის გადასამუშავებელი ერთადერთი ქარხანაა.

[illegible] ეს გეგზოტიკური ხე, რომელიც აქ ოდესღაც სამხრეთის ქვეყნებიდან შემოიტანეს, ბოლოდ 35-40 წელს ცოცხლობდა [illegible] წელს არ [illegible] ტუნგის ზეთით დამზადებული სალებავი. [illegible] ბრეზენტელ გემის [illegible] ეკოკონენი, იგი განსაკუთრებულ ელვარებას მატებს სტამბურ ნაბეჭდს, სარკესავით ამრეალებს მუსიკალურ საკრავებს, წყალგაუმტარს ხდის ბრეზენტს. იქ, სადაც სპეციალისტ და გამძლეობა, იყენებენ დეფიციტურ ტუნგის ზეთს: ლაქსაღებავ, ელექტროტექნიკურ, რეზინის მრეწველობაში, თვითმფრინავ და ავტომობილშენებლობაში.

საინტერესოა ტუნგის ისტორია, რომლისგანაც ძველად განთქმულ ტუმს ამზადებდნენ. ევროპელებმა ეს ტუმი პირველად XIII საუკუნეში ნახეს, შემოტანა კი სამი ასწლეულის შემდეგ დაიწყეს. ამასთან ზეთზე ისეთი დიდი მოთხოვნა იყო, რომ მალე გამორჩდა ყალბი ტუნგის ზეთები. ინგლისელებმა ტუნგის ხეების გაშენება დაიწყეს ინდოეთსა და ცეილონში. ჰოლანდიელებმა — იავაში, ფრანგებმა — მადაგასკარში. პირველი პლანტაცია ჩვენში თითქმის 50 წლის წინათ გამოჩნდა ბათუმის მახლობლად.

თანდათანობით შეეიტყეთ ტუნგის სხვა ღირსებანიც. მეზენეს, თუ როგორ შლის აქაური ჰავა ხე მიკრობები რამდენიმე კვირასა და თვეში საღებავებს, მერქანს, ლაქს, რეზინს, საპონ ნიეთიერებებს. ყოველნაირად რომ შეამოწმონ ნაწარმის სიმტკიცე, ნიმუშებს ღია ცის ქვეშ აწყობენ. „გამოცდას გადიან“ გენერატორები, ტიგას სანათები, მოტოციკლის დისკოები, ლითონ-კერამიკა. ბევრ სამრეწველო ნაწარმს ვერიფიერი დაალო აქაურმა კლიმატმა. გაანზოგადებენ რა მრავალი წლის დაკვირვებას, მეცნიერები ადგენენ სხვადასხვა მასალის „დღეგრძელობის პასპორტს“.

ბევრი საგანი, რომლებმაც ვერ გაუძლო კოლხეთის ბუნების შეტევას, გაეცალებით დიდხანს დარჩენოდა, ტუნგის ზეთში დამზადებული სალებავით რომ დაეფართო. ქობულეთის მახლობლად ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ტუნგის კოორმეტი და მათი ნაყოფის გადასამუშავებელი ერთადერთი ქარხანაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული ჩემი

ლიმონადი ელის სკოლას

მიმდინარეობდა რაიონსაბჭოს სესია, რომელიც განიხილავდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხს.

ერთ-ერთმა ორატორმა. წალკის განათლების განყოფილების გამგემ. ბ. მიქაძემ განაცხადა:

— დღეს 25 ივნისია. ზოგიერთ სკოლას კი დღემდე არ დაუწყია რემონტი. ასეთია, მაგალითად, წალკის № 1 საშუალო სკოლა.

სესიიდან თვენახევარზე მეტი გავიდა. სკოლა კი კვლავ ძველებურად გამოიყურება.

აშბობენ სკოლის დირექტორი ი. სამურგანოვი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ შვებულებაში გავიდა და სკოლაში ერთხელაც აღარ გამოჩენილაო.

წალკის რაიონს წლეულს დიდი რაოდენობით გამოიყვეს ინვენტარი და თვალსაჩინებათა სამუშაოებები, კერძოდ, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა კაბინეტებისათვის თითქმის მთლიანად შემოზიდეს 27 ათასი მანეთის საქონელი, ამასთან — 50 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი.

წინა წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა პედაგოგებით სკოლების დაკომპლექტების მხრივ. წლეულს აქ მოვიდა და გაანაწილეს 20 ახალგაზრდა სპეციალისტი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა სკოლა არ არის ასე სრულად დაკომპლექტებული. რაიონში აკლიათ რუსული და ბერძნული ენების მასწავლებლები.

ცუდად არის ქვანახშირით სკოლების მომარაგების საქმე, იმის გამო, რომ ტრანსპორტი არ გააჩნიათ, მთლიანად ვერ შემოზიდეს ქვანახშირი მარნეულის რკინიგზის სადგურიდან. რატომღაც წალკაში ინგარიშს არავინ უწევს იმას, რომ რკინიგზა ვაგონების მოცდენისათვის საკმაოდ დიდ თანხას ანდგინებს სკოლებს. ამ საქმეს უფრო ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ რაიონში და ყველაფერი იღონონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

წალკელები სამდურავს ვერ იტყვიან ახალი სკოლების მშენებლობის მხრივ. მარტო შარშან აქ სამი სასკოლო შენობა აიგო, წლეულს კი ორი შენდება. და მაინც რაიონი სასკოლო შენობათა მეტად დიდ სიიაეწრეზე განიდგმა. ჯერ კიდევ აქა-იქ საკლასო ოთახები დაქირავებულ ბინებშია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სკოლებს შეიობას არ უწევენ რაიონის საბჭოთა მეურნეობები. ანსად ფიქსირებული არ არის, რომ რომელიმე საბჭოთა მეურნეობას რაიმე წლეული გაეფლო სასკოლო ნაგებობების მშენებლობაში ან სხვა რაიმე დახმარება აღმოეჩინოს.

სამართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ადგილობრივმა ორგანოებმა შარშან გადაწყვიტეს ცალკეო მოძრავ-მექანიზებული კოლონების ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ ელექტროგადაცვანილობისა და სანტექნიკის სამუშაოები ჯერ არ დაუწყიათ.

ასეთ გაუგებრობასა და უთავბოლო საქმიანობაში გადის დრო, სკოლის ხარაჩოები კი მაღლა არ იწევს, ერთ ადგილზეა. მშენებლობაზე არსებული ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ ხელ. კორ.

დღეს ენგურჰესზე



სვანეთის მთებში, ბობოქარ მდინარე ენგურზე, შენდება ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების კასკადი. მათი საერთო სიმძლავრე იქნება 1600 ათასზე მეტი კილოვატი.

ახლა აქ, საკავშირო კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობაზე წარმატებით აშენებენ უნიკალურ თაღოვან კაშხალს, რომლის სიმაღლე 271 მეტრი იქნება. მის სხეულში ჩასხამენ ოთხ მილიონ კუბურ მეტრ ჰიდროტექნიკურ ბეტონს. კაშხალის სხეულში უკვე ჩასხმულია 700 ათასი კუბური მეტრი ბეტონი. წლის დამლევამდე კიდევ 180 ათას კუბურ მეტრ ბეტონს ჩასხამენ.

სურათზე: მებეტონეთა მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელები რაჟდენ თვარაძე (მარცხნივ) და ვაჟა შალამბერიძე.

ფ. კრიმსკის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული ქრონიკა

პარტჯგუფორგების სემინარი

ფოთი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო საწარმო-დაწესებულებების პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა სემინარი. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები და ხუთრები საკითხებზე: „სკკპ საწესდებო მოთხოვნების შესრულება თვითეული კომუნისტის ცხოვრების კანონია“, „პარტიული დავალებების განაწილება და შესრულება“; „პარტჯგუფში კრების მომზადება-ჩატარების პრაქტიკა“, „პარტიაში მიღება და კომუნისტების პერსონალური საქმეთა განხილვა“, „პარტიული ჯგუფი და სოციალისტური შეჯიბრება“, „ბრძოლა ეკონომიისა და მომეურნეობისათვის“, და სხვ.

ა. კობახიძე.

თეორიული კონფერენცია

საჩხერე. პარტიის რაიკომმა და ხაზოგადოება „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაციის გამაერთიანებელ თეორიული კონფერენცია თემაზე: „თეული ჩვენი ცოდნა, ძალა, უნარი და შემართება — სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრას“. კონფერენცია შესავალი სიტყვით გაუწია საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ღლონტმა.

მოისმინეს მოხსენებები: „ჩვენი ცხოვრების შინაარსს განსაზღვრავს სკკპ XXV ყრილობისათვის მზადება“, „საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვა პარტიის უმაღლესი მიზანია“, „სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საწინდარია“, „პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა“.

ა. კაპანაძე.

მალე დაირეკება სეპტემბრის ზარი

ლიმონადი ელის სკოლას

მიმდინარეობდა რაიონსაბჭოს სესია, რომელიც განიხილავდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხს.

ერთ-ერთმა ორატორმა. წალკის განათლების განყოფილების გამგემ. ბ. მიქაძემ განაცხადა:

— დღეს 25 ივნისია. ზოგიერთ სკოლას კი დღემდე არ დაუწყია რემონტი. ასეთია, მაგალითად, წალკის № 1 საშუალო სკოლა.

სესიიდან თვენახევარზე მეტი გავიდა. სკოლა კი კვლავ ძველებურად გამოიყურება.

აშბობენ სკოლის დირექტორი ი. სამურგანოვი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ შვებულებაში გავიდა და სკოლაში ერთხელაც აღარ გამოჩენილაო.

წალკის რაიონს წლეულს დიდი რაოდენობით გამოიყვეს ინვენტარი და თვალსაჩინებათა სამუშაოებები, კერძოდ, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა კაბინეტებისათვის თითქმის მთლიანად შემოზიდეს 27 ათასი მანეთის საქონელი, ამასთან — 50 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი.

წინა წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა პედაგოგებით სკოლების დაკომპლექტების მხრივ. წლეულს აქ მოვიდა და გაანაწილეს 20 ახალგაზრდა სპეციალისტი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა სკოლა არ არის ასე სრულად დაკომპლექტებული. რაიონში აკლიათ რუსული და ბერძნული ენების მასწავლებლები.

ცუდად არის ქვანახშირით სკოლების მომარაგების საქმე, იმის გამო, რომ ტრანსპორტი არ გააჩნიათ, მთლიანად ვერ შემოზიდეს ქვანახშირი მარნეულის რკინიგზის სადგურიდან. რატომღაც წალკაში ანგარიშს არავინ უწევს იმას, რომ რკინიგზა ვაგონების მოცდენისათვის საკმაოდ დიდ თანხას ანდგინებს სკოლებს. ამ საქმეს უფრო ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ რაიონში და ყველაფერი იღონონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

წალკელები სამდურავს ვერ იტყვიან ახალი სკოლების მშენებლობის მხრივ. მარტო შარშან აქ სამი სასკოლო შენობა აიგო, წლეულს კი ორი შენდება. და მაინ

შ. მ. თათარაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი. შოთა თათარაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მთელი ძალღონე, ცოდნა, გამოცდილება, უნარი და ენერგია მოახმარა მშობლიური ხალხის, კომუნისტური პარტიის სამსახურს.

შ. მ. თათარაშვილი დაიბადა 1922 წელს ქალაქ გორში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის 35-ე სამუშაო სკოლა, 1946 წელს კი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

შრომითი გზა შ. მ. თათარაშვილმა კომკავშირში დაიწყო. 21 წლისა იყო, როცა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად აირჩიეს. შემდეგ შ. მ. თათარაშვილი გადაიყვანეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც მუშაობდა მუშა ახალგაზრდობის გაყოფილების გამგედ. 1950 წელს კი აირჩიეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად. აქ მკაფიოდ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, საქმიანი და ადამიანური თვისებები.

1952 წლიდან შ. მ. თათარაშვილი პარტიულ სამუშაოზეა. იგი იყო საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

1958 წლის აპრილში შ. მ. თათარაშვილი კვლავ გადაყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც მუშაობს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

1963 წლიდან შ. მ. თათარაშვილი სხვადასხვა პასუხისგებ სამეთოდ და სამეურნეო თანამდებობებზეა — მუშაობს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების — საბინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსად, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილედ. 1965 წელს იგი დაინიშნა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრად. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც მშენებლობის საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტმა, დინჯმა, ერუდირებულმა, თავისი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნმა მუშამ.

1971 წლის თებერვლიდან შ. მ. თათარაშვილი გადმოყავთ საქართველოს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტში სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც კიდევ უფრო მეტი ძალით გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, საქმიანობა.

1973 წლის მაისიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი მუშაობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე მან ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შორის დიდი ავტორიტეტი და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

შ. მ. თათარაშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და წევრობის კანდიდატად, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ მესამე და მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობა ხამშობლოსა და ხალხის ამ უსაზღვროდ ერთგული ადამიანის ცხოვრების არსი იყო.

შ. მ. თათარაშვილი იყო გულისხმიერი, გულთბილი ამხანაგი, ჭეშმარიტად სპეტაკი მორალური თვისებების მქონე და სულიერად უაღრესად მომზიბლავი ადამიანი. რომელ თანამდებობაზეც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ყოველთვის უცვლელად ვლინდებოდა მისი ბუნების საუკეთესო მხარეები — დიდი პრინციპიულობა, დაკისრებული საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რითაც ამხანაგებსა და კოლეგებს შორის, რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციაში დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭა.

სამშობლომ დიდად შეაფასა შ. მ. თათარაშვილის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით.

დაუკარგეთ ხერეოზული და საზრიანი მუშაკი, შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვისაც მასთან უმუშავია, ვისაც უნახავს, თუ რა თავდადებით ემსახურებოდა იგი კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, შ. ა. შარტავა, ზ. ბ. ბელდიაშვილი, ვ. ი. ვადაბაკორია, ა. მ. ლაბახუა, ე. მ. ჯაფარიძე, პ. ხ. ბარციცი, ლ. ვ. გალუსტოვი, ბ. ვ. ჟორჟოლიანი, ლ. ბ. მარშანია, ბ. ა. ლაბინი, ა. პ. საყვარელიძე, თ. ბ. ფიოდოროვა, ვ. მ. ხინთბა, შ. ე. შარტავა, ბ. ვ. შინკუბა, ბ. კ. ნაბიყენია, ბ. ი. ფაჩალია, ვ. მ. ცუბგა, ზ. ბ. ახვლედიანი, ზ. ა. კვაშაძე, ვ. ტ. მიკანბა, შ. ა. თითბერიძე.

□ □

შ. მ. თათარაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 17 და 18 აგვისტოს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (რიგის ქუჩა № 5).

19 აგვისტოს შ. მ. თათარაშვილის ცხედარი დასვენებული იქნება თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში (რუსთაველის პრ. № 16).

შესვლა განსვენებულთან გამოსათხოვებლად 19 აგვისტოს ღამის 2 საათიდან.

გამოსვენება 4 საათზე.

დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (საბურთალო).

17 აგვისტოს ამერიკაკავკასიის რესპუბლიკათა გაშრომელები, ამერიკაკავკასიის წითელროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღინიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს. 1933 წლის 28 აპრილს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დაწესებული დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში სამხედრო—საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო გაწვრთნილობის, საბჭოთა საჰაერო მეცნიერებისა და ტექნიკის მოღწევების, საავიაციო მრეწველობის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ხებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენთა მიღწევების დათვალიერებად გადაიქცა.

საბჭოთა ავიაციის ჭეშმარიტი ისტორია, მისი მძლავრი აღმავლობა და უდიდესი წარმატებები განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. დიდი ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე, პეტროგრადში შეიქმნა ავიაციისა და ჰაერსაოსნობის კომისარიატი პიერო, ხოლო დეკემბერში, ვ. ი. ლენინის მითითებით, — რესპუბლიკას საჰაერო ფლოტის მართვის სრულიად რუსეთის კოლეგია. ქვეყნის საზღვაო ფლოტს ძალმისადმი ვ. ი. ლენინს, პარტიისა და სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1918-1919 წლებში შრომისა და თავდაცვის საბჭომ 200-ზე მეტი დადგენილება მიიღო ავიაციის სხვადასხვა საკითხზე. სამოქალაქო ომის წლებში ჩვენმა საავიაციო საწარმოებმა აიგეს 650-ზე მეტი ახალი თვითმფრინავი და 1740 ძრავა. მამაცმა სამხედრო მფრინავებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს თეთრგვარდიელთა და უცხოელ ინტერვენტთა განადგურებაში — ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვაში.

მომდევნო წლებში პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის წყალობით იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი საჰაერო ფლოტი. შეიქმნა მძლავრი საავიაციო მრეწველობა, აღიზარდა მეცნიერთა, ავიაკონსტრუქტორთა, ინჟინერ-ტექნიკური კადრების დიდებული პლეადა, რომლებმაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ჩვენი სამამულო ავიაცია.

დიდი სამამულო ომი მკაცრი შემოწმება, მძიმე საბრძოლო გზა მოიცდა იყო მთელი ჩვენი ავიაციისათვის, ისევე როგორც სხვა სახეობათა შეიარაღებული ძალებისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის. ომის დროს მისი არაერთი ოპერაცია ისე არ ჩატარებულა, მძლავრი საავიაციო მხარდაჭერა და დახმარება რომ არ ყოფილიყო. ომის მსვლელობის დროს განუწყვეტლივ იზრდებოდა საბჭოთა ავიაციის დარტყმების ძალა. მაგალითად, თუ მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლებში ჩვენი 762 თვითმფრინავი მონაწილეობდა, კურსკთან უკვე 4300. ხოლო ბერლინის ოპერაციაში — 7500 თვითმფრინავი იბრძოდა. ომის პერიოდში ჩვენმა ავიაციამ განახორციელა 3.125.000 თვითმფრინავ-გაფრენა, მტერს დააყარა 30.450 ათასი სხვადასხვა კალიბრის ბომბი. გერმანელ ფაშისტთა საჰაერო საჰაერო ძალების ყველა ჩამოგდებული თვითმფრინავიდან სამი მეოთხედი განადგურდა ავიაციისა და ზენაარმიის ფრონტზე, მათ შორის 55 ათასი თვითმფრინავი ჩამოგდეს საჰაერო ბრძოლებში და დაწვეს ავიოფრონტებზე საბჭოთა მფრინავებმა.

საბჭოთა მფრინავები მამაცურად იბრძოდნენ ყველა ფრონტზე, მათ მრავალი გმირული ფურცელი ჩაწერეს კაკაესიისათვის ისტორიული ბრძოლის მატიანეში. სწორედ აქ, ამერიკაკავკასიის და შემდგომში სხვა ფრონტებზე საბჭოთა ავიაციის საბრძოლო ძალიერების საფუძველი ჩაეყარა. ომის ბოლო დღეებში, ხალხი სახელგანოქმულ მფრინავებს ამყარად ავიაციის მარშალს ა. პოკრიშკინსა და გენერალ-პოლკოვნიკ ი. კოლედუბს — სამჯერ. მრავალი საავიაციო ნაწილი გარდაიქმნა გვარდიულად, მიიღო საპატიო წოდება, დაჯილდოდა საბრძოლო ორდენებით.

საბჭოთა ავიაციამ ომის შემდგომ წლებში უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის წყალობით იგი ძირფესვიანად ძეიცვალა და შეიძინა ადრე არნახული საბრძოლო ძალიერება. თვითმფრინავების პარკის საფუძველს შეადგენს ზებგერითი რეაქტიანი თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ იფრინონ დღისით და ღამით, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, პატარა და დიდ სიმაღლეებზე.

სამშობლოს

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის გამო

საჰაერო ფარი

ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის ხარდალი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი გ. უ. დოლნიკოვი

საბჭოთა ავიაციის საბრძოლო ძალიერების საფუძველია ადეკუატურად გამოწრთობილი, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სამშობლოს უსაზღვრო ერთგული ადამიანები, რომლებიც მტკიცედ ფლობენ თანამედროვე ტექნიკასა და ტაქტიკას. მათ შორის არიან ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მოწინავე ავიატორმეომრებიც — ვ. შალიმოვი, ვ. ზდანკევიჩი, ნ. მოროზი, ა. ზაიჩიკოვი, ნ. ლებედევი, თ. ნიკიტინი, რ. კობალავა, გ. კერეკეული, ო. ვართანიანი, ა. ჩერნიშოვი, პ. ობელნენკო, ვ. პუზანოვი.

ამერიკაკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა სამხედრო ოლქებში, განუწყვეტლივ იზრდება მოწინავე მფრინავების შტურმანების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ავიაციის სპეციალისტების რიცხვი. სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან ჩვენი კომუნისტები, რომლებიც პირადი შემადგენლობის 80 პროცენტს შეადგენენ.

საბჭოთა ხალხი და მისი სახელოვანი მეომრები ახლანდელი საპატერნი ფლოტის დღეს დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების 30-ე წლისთავის წელს ზეიმობენ. ეს წელი კოსმონავტიკის განვითარების დარგში უდიდესი მიღწევებით აღინიშნა. წარმატებით დამთავრდა ისტორიაში პირველი „სოიუზ-19“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების საერთაშორისო ერთობლივი ფრენა, რამაც ახალი ჰორიზონტები დაუსახა ყველა ქვეყანას კოსმოსში თანამშრომლობისათვის, კოსმოსური ობიექტის შესწავლასა და ათვისებაში, სამყაროს საიდუმლოებათა ამოკითხვაში სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა კოსმონავტების ახალი წარმატებების მკაფიო დადასტურება იყო „სალიუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურისა და „სოიუზ-18“ სატრანსპორტო ხომალდის [illegible] ... [illegible] გამოთქვამს ევროპის უმაღლესი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...



ცა ფიროსმანის დახატულია

ახლად მიკვლეული რამდენიმე ცნობა ნიკო ფიროსმანაშვილზე

•

ასპარეზებში, რომლებიც სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული საქართველოს ჟურნალ-გაზეთებსა და ცალკეულ გამოცემებში, ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ აკა-იქ გაისმის აზრი, თითქოს პირველი ცნობები ამ მხატვრის შესახებ მოიპოვებოდეს საქართველოს 1902-1903 წლების პრესაში. მაგრამ აღნიშნული წლების პერიოდული პრესის გულმოდგინედ შესწავლას ამ მხრივ დღემდე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ ჯერჯერობით პირველ ასეთ ცნობად უნდა ჩავთვალოთ გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩის“ 1913 წლის 10 თებერვლის 34-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ხალასი ნიჭის მხატვარი“. აი ეს წერილიც:

„აქ ორთაჭალაში, არის ბაღი „ელდორადო“, სადაც ერთ-ერთ ნაგებობაში ნიკო ფიროსმანაშვილის თექვსმეტი სურათი ჰკიდია. ალბათ მის შესახებ ეერავინ ვერასოდეს გერაფერს გაიგებდა, მაგრამ გასული წლის ზაფხულს რამდენიმე ჩამოსული მოსკოველი მხატვარი შემოხვევით წაწყდა მის სურათებს, შეიძინეს ზოგიერთი ნამუშევარი და გადაწყვიტეს წარედგინათ ისინი „მიშენის“ გამოფენაზე.

ჩვენ წინ არის „მოსკოვის გაზეთის“ ნომერი. აქ ვკითხულობთ: „ბამოფენის მონაწილეთა შორის იქნება... ქართველი ფიროსმანაშვილი, თბილისელი, მეტად პოპულარული ადგილობრივ მოსახლეობაში, როგორც ოსტატი კედლის მხატვრობისა, რომლითაც იგი ამკობს უმთავრესად დუქნებს“. „მისი თავისებური მანერა, მისი მოტივები, ის არცთუ მრავალრიცხოვანი ხერხები, რომელთა მეშვეობითაც იგი ასე ბევრს აღწევს, შესანიშნავია“. ეოტა ზემოთ იგი იხსენიება შესანიშნავ პრიმიტივისტად.

მართლაც რომ ფიროსმანაშვილი შესანიშნავი პრიმიტივისტია.

თბილისის თითქმის ყველა ხარდაფი მოხატულია მისი ფუნჯით.

„ელდორადოში“ ტიპთა მთელი რიგია — მეთევზე, ძიძა, მეარღნე, ლაქია, ყვავილების გამყიდველი, მზარეული, მოახლეები, მოცეკვეა ცხოველთა სურათები: ლომი, ირემი, ჟირაფი. ოზაშვილთან არის პანო — „რთველი ბაკურციხის ახლოს“, მესხიევთან — კედლის დიდი მოხატულობა: „ალაზნის ველი“, „ბაზაძესთან — „მთიელთა დამპყრობი თავადი ბარიატინსკი“, „მეთევზე“, იაქიფთან — „მოთა რუსთაველი“, „თამარ დედოფალი“, „ფუნიკულორი“, „სადილი“. სხვადასხვა ადგილას არის პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. ზოგჯერ კომპოზიცია ნასესხებია.

იგი ისახავს ფერთა გასაოცარ ამოცანებს და გასაოცრად იცის მათი გადაწყვეტა.

საგნის ფერწერული გამოსახვის ყველა საშუალების გამოყენების უნარიდან მისი ნამუშევრები იმდენად ჯარი და დამაჯერებელია, რომ მოსკოვის გამოფენებზე სერიოზულ ყურადღებას მიიპყრობენ.

მაგრამ დიდება ბასთან ძალიან გვიან მოდის, იგი უკვე 50 წლისაა. და ეს ოსტატი სარდაფიდან სარდაფში დაეხეტება, კაპიკებზე ფანტავს ტალანტს, ხატავს სადილის ან ჭიქა ღვინისათვის. ცუდად აცვია, შუმბუს იაფფასიანი სიგარეტებით მდარე ტილოსა ან უბრალო მუშამბაზე, რის გამოც მის ნამუშევრებს ნაადრევი ფიკვდილი წაწერია.

ვფიქრობთ, ამ ხალასი ნიჭისათვის დიდი ხნის წინათ უნდა მიექციათ ყურადღება თვით მხატვრებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს. მინი მოსაბარია: სარდაფი „კარდანახი“, მოლოკნების ქუჩა, 23. ეგების ვინმე დაინტერესდეს ამ კაცთა და მონაწილეობა მიიღოს მის ბედში“.

წერილს ხელს აწერს „ი-ვიჩ“.

ეს ის წერილი უნდა იყოს, რომელის შესახებაც ილია ზდანევიჩის დღიურში (1913 წლის 31 იანვრის ჩანაწერი) ნათქვამია: „დილით ვიყავი ნიკოსთან და ჰოზაში ვიდექი. პორტრეტი თითქმის მზად იყო, „ირემს“ უკვე ცა ჰქონდა მიხატული. მაგ მე „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციაში წავედი, რომ გამეგო, მოიწონეს თუ არა წერილი ნიკო ფიროსმანასშვილის შესახებ. მითხრეს, ხვალინდელ გაზეთში იქნებაო“.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, 10 თებერვალზე ადრე გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩს“ არავითარი სხვა მასალა ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ არ მოუცია. მეორე დღეს ამავე წლის 11 თებერვლის გაზეთი „თემის“ 110-ე ნომერი _ იუწყებოდა: „მოსკოვის გაზეთში“ დაბეჭდილია, რომ თბილისში ცხოვრობს სწავლა-მიუღებელი სახალხო მხატვარი ფიროსმანაშვილი, რომელსაც ნიჭი ეტყობა. ეს მხატვარი მარტო ასეთი თვითმყოფი მხატვარი გამოფენაზე იქნება 3.

ქართველი ფერმენოშვილი (ფეოლისმეცნ ფიროსმანაშვილი, — ჭ. ბ., ა. ჯ.)—ეს თბილისშია დაბადებული, მეტად პოპულარულია ადგილობრივ მოსახლეობაში, როგორც ოსტატი კედლის მხატვრობისა, რომლითაც იგი ამკობს, უმთავრესად, დუქნებს. მისი თავისებური მანერა, მისი ადმოსავლური მოტივები, ის არც თუ მრავალრიცხოვანი ხერხები, რომელთა მეშვეობითაც ფერმენოშვილი ასე ბევრს აღწევს, შესანიშნავია“. და ამას მოსდევს შემდეგ დანარჩენი ორი პრიმიტივისტის დახასიათება.

ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რატომ მოიხიბლნენ ფიროსმანასშვილის ნამუშევრებით მ. ლარიონოვი და ნ. გონჩარო

, რატომ გამოიწვია სენსაცია მოსკოვის მხატვართა ნაწილში (რომელშიც უთუოდ ლარიონოვი და გონჩაროვაც იგულისხმებიან) და ხელოვნების მოყვარულთა შორის (როგორც ამის შესახებ ჭ. ზდანევიჩი წერს) ლე-დანტიუს მოხსენებამ ფიროსმანაშვილის შესახებ და მისი ორი სურათის დემონსტრაციამ ჯერ კიდევ 1912 წლის აგვისტოს ბოლოს, როცა იგი კავკასიიდან პეტერბურგში მიემგზავრებოდა და რამდენიმე დღით მოსკოვში შეჩერდა; ანდა რატომ სწერდა ლარიონოვი ილია ზდანევიჩს: „დიდად პატივცემულო ილია მიხეილისძეო! ჩვენთან გამოდის კრებული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოწყობილი გამოფენებისა და მათში მონაწილე მხატვრების შესახებ. უმორჩილესად ვთხოვთ მომცეთ წერილი გონჩაროვასა და ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერას შესახებ. ამას გთხოვთ სწორედ თქვენ ომიტომ, რომ ვიცით, გაქვთ მასალები. გეგმირდება... _ ფიროსმანის სურათების ფოტოები. ვიშოვეთ ახალი დარბაზი ზემოდან განათებით. ძალიან გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ სურათები ძმისა და აგრეთვე გასაოცარი და არაჩვეულებრივი ნიკო ფიროსმანისა რაც შეიძლება მეტი (ის ჩვენ ძალიან შეფასებულ ვართ), ასევე მისი შესანიშნავი აბრები“.

როგორც მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, „მიშენის“ ჯგუფის მხატვრების გამოფენა მოეწყო 1913 წლის 24 მარტიდან 7 აპრილამდე მოსკოვში (ბოლშაია დმიტროვკა, სამხატვრო სალონი 11). შემოინახა ამ გამოფენის კატალოგიც მ. ლარიონოვის წინასიტყვაობით, რომელშიც ეკითხულობთ: „გამოფენის ამოცანაა ვაჩვენოთ იმ მხატვრების ნაწარმოებები, რომლებიც რომელიმე გარკვეულ შემართულებას არ ეკუთვნიან და ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს უმთავრესად მასში თავისი პირადი მეობის გამოუყენებლად“.

მოინახა მოსაწვევი ბარათიც, რომელშიც აბაბანის რიგზე ჩამოთვლილია ყველა მონაწილის გვარი ინიციალებით, მათ შორის მოხსენებულია ნიკო ფიროსმანაშვილიც.

როგორც კატალოგში ნაჩვენებია, ნ. ფიროსმანაშვილი გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 4 ნამუშევარით: ქალი ლუდის ჭიქით ხელში, ილია ზდანევიჩის პორტრეტი, ნატურმორტი, ირემი. ამათგან ილია ზდანევიჩის პორტრეტი, რომელიც მხატვარს ნატურიდან აეკვნა შესრულებული 1913 წლის 27 იანვრიდან 2 თებერვლამდე, კარგახანს დაკარგულად ითვლებოდა. ამჟამად იგი ერთ-ერთი ლენინგრადელი კოლექციონერის კუთვნილებაა. ქალი ლუდის ჭიქით ხელში ერთ დროს ლე-დანტიუს საკუთრება იყო, ამჟამად კი საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია დაცული. „ირემი“ ილია ზდანევიჩმა საჩუქრად მიიღო თვით მხატვრისაგან, ხოლო ნატურმორტი იყიდა მედუნენსაგან. ეს ტილოები ის ნატურმორტი და „ირემი“ უნდა იყოს, რომლებიც ჭ. ზდანევიჩის ოჯახიდან არის შემოსული საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში და ერთ-ერთია ფიროსმანაშვილისეულ ნატურმორტთა და მრავალრიცხოვან ირემთა შორის, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგებიან ი. ზდანევიჩის მიერ მოცემულ აღწერილობას („ირემს... ცა ჰქონდა მოხატული“... „ნატურმორტი პატარაა“, ფიროსმანაშვილის „ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანია“, „ასი მანეთი თამამად ღირს...“).

რეცენზია „მიშენის“ გამოფენის შესახებ დაბეჭდა „მოსკოვის გაზეთმა“ 1913 წლის 25 მარტის ნომერში ამავე Ф. М-ის ხელმოწერით. მასში ეკითხულობთ:

„სანინგრასა თვითნასწავლთა ნამუშევრები... ბოგომაზოვის, ბავლიჩენკოს და ფიროსმანაშვილის ტილოებში უკიდურესი გულუბრყვილობაა. ვარემო სამყაროს ალქმის შეუფერებელი, ყოველგვარ საბურველს მოკლებული პრიმიტიულობაა.

ეს თვითნასწავლნი ისევე საინტერესონი არიან, როგორი საინტერესონი არიან თავიანთი „ნაწარმოებებით“ აბრების ოსტატები მიყრუებული პროვინციებიდან, თავიანთ „მხატვრობას“ რომ ქმნიან საკუთარი უკიდეგანო გაგებით“.

იმავე წლის აპრილში ვრცელი რეცენზია ამავე გამოფენის შესახებ გამოაქვეყნა: სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალმა „აპოლონმა“ (№ 4), რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა ამ წლებში სერგეი მაკოვსკის რედაქტორობით. რეცენზიის ავტორი იყო ცნობილი ოსი ხელოვნებისმეცნიერი ი. ტუგანოვლი. პარადოქსალური ჩანს ის გარემოება, რომ შემდეგში ფიროსმანაშვილის შემოქმედების ამ დიდმა თაყვანისმცემელმა და პოპულარიზატორმა თავის რეცენზიაში ლუმილით აუარა გვერდი გამოფენაში ფიროსმანაშვილის მონაწილეობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ პირველი საერთო აღიარება ანუ მხატვრად „აურთხევა“ ნიკო ფიროსმანაშვილმა სწორედ ზემოხსენებულ მასალებში ჰპოვა და ეს მასალები უნდა მივიჩნიოთ ქართული, საქართველოს და მეფისდრონდელი რუსეთის პრესის პირველ ცნობებად ფიროსმანაშვილის, როგორც მხატვრის შესახებ.

ჭ. ბაგრატიშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
ა. ჯიფიაშვილი.

სურათებზე: ნ. ფიროსმანაშვილის სურათების რეპროდუქციები — „ირემი“, „ქალი ლუდის ჭიქით ხელში“, „ილია ზდანევიჩის პორტრეტი“, „ნატურმორტი“.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ბ. ჯიბლაძის ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მე-5 წიგნი. როგორც ავტორი თავის მოკლე წინათქმაში აღნიშნავს, ეს წიგნი ბუნებრივი გაგრძელებაა ადრე გამოცემული „კრიტიკული ეტიუდების“ ოთხი ტომისა, რომლებშიც დაბეჭდილი იყო გამოკვლევები ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე.

მეხუთე ტომში ძირითადად თავმოყრილია ავტორის მცირე მოცულობის გამოკვლევები როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების საკითხებზე. მასალა დალაგებულია თემატიკური პრინციპით ხუთ თავში: პოეზია; პროზა და დრამატურგია; ევროპელი, რუსული, უკრაინული, სომხური ლიტერატურა; ხელოვნების ოსტატები; კრიტიკა.

წიგნის რედაქტორია დ. ცოცორეული, 508 გვ.

„განათლებამ“ გამოსცა გიორგი ჯიბლაძის წიგნი „პედაგოგიკა და მეთოდიკა“ — წერილები, მემორიალი (რედაქტორი გ. საყვარელიძე, გვ. 396).

„მეზანი, — ამბობს ავტორი წინასიტყვაობაში, — რომელსაც ჩვენ ვისახავთ, უაღრესად ლოკალიზებულია: დაეხმაროს მასწავლებლებსა და უმაღლესი სკოლის სტუდენტებს როგორც პედაგოგიკური მეცნიერების, ისე მეთოდიკის საკითხების შესწავლაში“. წიგნი ხუთი განყოფილებისაგან შედგება — პედაგოგიკა და მეთოდიკა; პედაგოგები და მეცნიერები (იაკობ გოგებაშვილი, ლეარსამ ბოცვაძე, ივანე ქიორიოვი); სახალხო განათლება; მემორიალი, უნიბლის პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები.



ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲬᲧᲝᲡ

ᲛᲐᲒᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲚᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 6 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ს. ტაბიძის სამსჯელოანმა ამოცანამ ჩვენი მკითხველების დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციამ ორასზე მეტი სწორი პასუხი მიიღო პირველი კვირის განმავლობაში, რაც უდავოდ აძლევს ბევრი ამომხსნელის გვარის გამოქვეყნებას. ამასთან, რაიონებში მცხოვრები ამომხსნელების ნაწილი თელის, რომ პასუხები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უფრო გვიან აღწევს „მერანამდე“. ამის თაობაზე უნდა განვაცხადოთ, რომ „მერანი“ ყოველთვის ითვალისწინებს ამ გარემოებას და ასეთი „დაგვიანებული“ ამომხსნელების მიმართ გარკვეულ შეღავათს უშვებს.

ახლა კი ამორჩევით ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სწორად იპოვა ამოხსნა: 1. ლგ4 ცუდცვინგი!

ა. ბუღუა (ჩხოროწყუს რ. ხაბუმე), ლამზირა ბერაია (ხობის რ. ჭალადიდი), ვ. ღირსიაშვილი (სიღნაღის რ. საკუთრ), ფატი ქაქუთია (ზუგდიდი), ნ. მინდიაშვილი (ყვარლის რ. ენისელი), ა. და ნანა გიგინეიშვილები (ტყვარჩელი), გ. ალადაძიძე (მოსკოვი), ვ. ბიჭიკაშვილი (კასპის რ. ხოვლე), თ. ცოტნიაშვილი (ცხინვალის რ. ერედვი), დ. ტაკიძე (მახარაძის რ. შემოქმედი), ა. გაჩეჩილაძე (განთიადი), ბ. ნადირაძე (საჩხერე), ო. კაკაბაძე (წულუკიძე), ბ. ტყებუნაცა (ცხკაია), ა. და ჯ. ჭიმაშვილები (ორჯონიკიძის რ. ისლარი), გ. კველიშვილი (თელავის რ. კურდღელაური), ხათუნა გურგენიძე (რუსთავი), მ. ოხიპოვი, ვ. ლაგრინსკი, შ. და ი. შავლაძეები, ვ. ერქომაიშვილი, ა. კობაიძე (ყველანი — თბილისი).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲜᲘ. შვეიცარიი მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ფუნიკულარის შორის. სპეციალი ნაკრები უნგრეთის, ესპანეთის, იტალიის, იუგოსლავიისა და გფრ-ის გუნდებთან ერთად გავიდა ფინალურ ექვსეულში. ჩვენმა წყალტუბელებმა პირველ შეხვედრაში დასავლეთგერმანელ სპორტსმენებთან გაიმარჯვეს — 5:4, ესპანეთმა მოუგო იტალიას — 9:4, უნგრეთმა — იუგოსლავიას — 7:6.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ. ტალინში გაიმართა სსრ კავშირისა და იაპონიის ეროვნული ნაკრების გუნდების პირველი ამხანაგური მატჩი. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ჩვენმა სპორტსმენებმა. იაპონელი და საბჭოთა ფარენბურთელები კიდევ ერთ შეხვედრას ვამართავენ ტალინსა და მოსკოვში.

ᲧᲐᲚᲘᲡ ᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. რიგინსკში მიმდინარე ხსრ კავშირის ჩემპიონატზე გიმნასტიკის ერთ-ერთი საინტერესო სახეობა — ფიგურული ხრიალი. ქალთა შორის უძლიერესი იყო გახული წლის ჩემპიონი და რეკორდსმენი, მინსკელი ინესა პოტეხი, ვაუებში — მოსკოველი ალექსანდრე რადუშინსკი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

გუშინ და დღეს

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა:

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Მ. — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ — 2:2

დღეს კი ჩვენი ქვეყნის ოთხ ქალაქში შედეგება გათამაშების კიდევ 4 მატჩი. თამაშობენ: „სპარტაკი“ — „ზენიტი“; „კარპატი“ — „ჩერნომორეცი“; „პახტაკორი“ — „არარატი“; „დინამო“ თბ. — სკა.

ᲔᲐᲩᲩᲘ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოსა“ და როსტოვის სკა-ს სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ანგარიში გახსნა როსტოველმა კორნეევმა, მაგრამ შესვენებამდე ორი წუთით ადრე დარკანიამ სკორი — 1:1.

მეორე ტაიმში (თამაშის 79-ე წუთზე) არმიელმა კრაეჩენკომ ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 2:1.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაგოშიძე (იმნაძე), მუჯირი (მეელიანი), კანთელაძე, ჭილაია, ხინჩაგაშვილი, მინაშვილი, ჭმელიშვილი, კოპალეიშვილი, შელია, დარჯანია, ჩივაძე.

ᲙᲕᲐᲚ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲢᲐᲚᲗᲐᲜ

ᲠᲘᲒᲐ. (ჩვენი სპეც. კორ.). 18 აგვისტოს მილანში იწყება საინტერესო საჰაერაკო ასპარეზობა — 12 დიდოსტატის ტურნირი. როგორც იტალიის საჰაერაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა პალადინომ განაცხადა, ამ შეჯიბრებამ უნდა დაამშვენოს წლევანდელი საჰაერაკო სეზონი.

მილანის ტურნირთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ მის მონაწილეს, მხოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ტალს.

— ᲕᲘᲜ ᲐᲧᲠᲬᲘᲡ ᲐᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ?

— მილანის სასტუმრო „ელნარდო და ვინჩი“. როგორც ცნობილია, ამ სასტუმროს უნდოდა ფიმერ-კარპოვის მატჩის მოწყობა და სათანადო ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ახლა იმის ნაცვლად იტალიელები აწყობენ 12 ცნობილი დიდოსტატის ტურნირს და იმედიც აქვთ ბევრი მაყურებელი ეყოლებათ.

— რეგორია ასპარეზობის შემადგენლობა?

— უკვე განაცხადა თანხმობა ათმა მონაწილემ: მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა, პეტროსიანმა, ტალმა (ხიმკი), — საბჭოთა კავშირი), ლარსენმა (დანია), პორტისშმა (უნგრეთი), გლეგორიჩმა, ლიუბოეევიჩმა (ორივე — იუგოსლავია), ანდერსონმა (შვეცია), ბრაუნმა (აშშ) და მარიოტიმ (იტალია). მათ გარდა მოწვეული არიან პიუბერი (აფრ) და ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). ჰორტი, ეტყობა, ითამაშებს. ეი ჰიუბერის საქმე კი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. იგი დათანხმდა ითამაშოს ცნობილი ინგლისელი ოსტატის ალექსანდერის მეორეადგილი, რომელიც 1 სექტემბერს იწყება. ასე, რომ ამ ორი ტურნირის ვადები ერთმანეთს ემთხვევა.

ასეა თუ ისე, ჩვენ გვაცხობეს, რომ ტურნირში გამოვა 12 ცნობილი დიდოსტატი.

— რეგორია შეჯიბრების დებულება?

— დიახ, ამაზე მეც მინდოდა შემეჩერებინა ყურადღება. ჯერ გაიმართება ჩვეულებრივი წრიული ტურნირი, რომელიც 31 აგვისტომდე გაგრძელდება. 4 უძლიერესი 2 სექტემბრიდან გაგრძელებს ბრძოლას თრეწრედ. ეი სწორედ ეს დამატებითი შეჯიბრება იქნება მეტად საინტერესო.

— ფიშერი არ ყოფილა მიწვეული ველარეზე?

— მიწვეული კი იყო, მაგრამ თამაში არ მოისურვა.

— პრესაში გამოჩნდა ცნობები ფიშერ-მეკინნის ამხანაგური მატჩის შესახებ?

— ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული თქმა ამ მატჩის შესახებ ძნელია.

— იტალიიდან დაბრუნებულს შემდეგ სად აპირებთ თამაშს?

— აუცილებლად ვითამაშებ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

— მაქვს ფიდე-ს გადაწყვეტილებით მოგენიჭათ უფლება ითამაშოთ მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში, რომელიც ბასად გაიმართება. რას იტყვით ამის შესახებ?

— ლენინგრადის უკანასკნელმა საზონთაშორისო ტურნირმა სახარბიელო შედეგები ვერ მოგვცა. ახლა საჭიროა გაცილებით უკეთ თამაში.

მიხეილ ტალს დიდი წარმატებები ვუსურვეთ მომავალი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების წინ.

გ. გამრეკელი.

ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔ

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

როცა პოჩინკი-კოსტარიზის გადასარბენზე მოსახვევიდან მძიმეწონიანი შემადგენლობა გამოვიდა, ლოკომოტივის მემანქანემ ნ. ი. სავოსკინმა ლიანდაგზე ბავშვი შენიშნა. თბომავალმა მკვეთრი გამაფრთხილებელი საყვირი მისცა, მაგრამ ბავშვი ტაშის ცემით მაკარებლისაკენ გაეშურა. ნიკოლოზ ივანეს-ძემ სასწრაფო დამუხრუჭების სისტემა ჩართო, მაგრამ ინერცია მეტად დიდი იყო და შემადგენლობა განაგრძობდა მოძრაობას. მაშინ მემანქანე ჯახურიდან გადახტა, გაირბინა თბომავლის წინა კიბემდე, თავდაყირა გადაეკიდა, და ბავშვი აიტაცა. მატარებელი კი განაგრძობდა წინსვლას და გაჩერდა მხოლოდ რამდენიმე ათეული მეტრის შემდეგ.

ორი წლის ანდრიუშა ტიაგუნოვის შშობლებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს ნ. ი. სავოსკინს მათი შვილის გადარჩენისთვის. გორკის სახელობელი სადგურის სალოკომოტივო დეპოსადმი ბრძანებით საზრიან მემანქანეს, კომუნისტური შრომის დამკვრელს მადლობა გამოეცხადა და პრემია გადაეცა.

ვ. იონოვი,
საკ. ᲙᲞᲡ-ის კორ.

ᲕᲐᲯᲘ: ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲕᲘᲜᲔᲑᲗ, ᲓᲐᲒᲐᲚᲔᲕᲘᲜᲔᲑᲗ!

ა. კანდელაკის ნახატი.

— ᲝᲗᲮᲘ ᲓᲘᲓᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲢᲐᲠᲐ!

ᲒᲣᲠᲯᲘ

ა. ᲒᲠᲐᲫᲘᲡ ნახატი.

რაც თვალს არ გამოეპარა

ᲖᲔᲓᲐᲖᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ...

ᲧᲝᲕᲔᲚ შაბათ-კვირას უამრავი ხალხი ესვენებს ბუნების წიაღში და ისტორიული ძეგლების მიდამოებში.

საგურამოდან ზედაზნის მონასტრამდე დაბურულ ტყეში მარაგზა მიემართება. აქ სიგრილეში მართლაც სულს მოითქვამს ადამიანი...

მაგრამ... ჯერ ერთი გზა კი ვთქვით, თორემ რა გზაა—ოღროჩოღრო. ნაღვარევებით დაღარული, მეორეც, თვითონ ადამიანებსაც „წელილი“ შეუტანიათ ამ წარმტაცი ადგილების დაუშნოებაში.

აი უახლოვდებით საჩქეფების ხევს, სადაც ყინულივით ცივი წყაროო მოჩუხჩუხებს. აქ ბევრი ავტომანქანა დგას. ხალხი დასასვენებლად ტყეს შეჰფენია, ისმის სიცილ-კისკისი, სადღეგრძელოები. ვღლაცეებს წყაროს აუზში ბაღეკენთი ღვინოსა და ლიმონათის ბოთლები ჩაუდგამთ (?!) გასაცივებლად. თითქოს ქვეყვინ, აქეთ სამ მეტრში ეს წყალი ეკმენტის როფში არ ჩადიოდეს. აქვე ერია კიტრის ნაფცქვენები, დამპალ-დაჭყლეტილი პამიდორები, ბაღლინა და მსხლის ნაღეჭეები, ბოთლის ნამტვრევები, ქაღალდები... ზოგს ცხვარი ამოუყანია, დაუკლავს, გაუტყავებია, ოავ-ფაფი და შიგნეული აქვე დ ეყრია, რასაც მწვანე ბუზები ეხვევა.

მერედა ვინ იცის, ამ ხალხში ითვლება „ბუნების მეგობარი“...

ბევრი ხალხია ზედაზნის მონასტერში. აქედან თვალწინ გადაგეშლებათ მცხეთა, არაგვისა და ტყვრის შეესართაკი, თბილისი. ...მბობენ, მოწმენდილ ამინდში ქტომბერში აქედან შავი ზღვაც ი მოჩანსო. ეალავანში მრავალი ოკონი დაუნთიათ, რომლებზეც ებები შეუდგამთ, იხარშება ხალამა ეუხთუხებს ყაურმა, ჩაოხბილი, შიშხინებს მწვადები. რთი სიტყვით, თითქმის მთელი ერთული სამზარეულო აქვთ ამოანილი. კვამლშია გახვეული, მიამ, ხალხს თვალები ეცრემლებ. მონასტრის მცველები — ოხუცი ცოლ-ქმარი კატო და ვა ო შოთნიაშვილები წუხან და ბობენ:

— რა ექნათ, ვუშლით ცეცხის დანთებას, აქაურობის დანაანებს. მაგრამ ვერაფერი გაწყვეთ წავლენ და ნაომარ ველს ამსგავსება აქაურობა. შემდეგ ენი დასასუფთავებელია.

სირცხვილია!...

ბუნება ადამიანის მეგობარია, ამანი კი ბუნებისა. ჩვენი სამბრლოს სილამაზეს თვალისჩინეთ უნდა გავუფრთხილდეთ. ამ ადამოებში, სადაც დასვენე და ანაშრენი, სხვაც მოვა და იგი ენ ნამოქმედარით არ უნდა შეაუხო.

ბ. ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔ

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲠᲝᲪᲐ პოჩინკი-კოსტარიზის გადასარბენზე მოსახვევიდან მძიმეწონიანი შემადგენლობა გამოვიდა, ლოკომოტივის მემანქანემ ნ. ი. სავოსკინმა ლიანდაგზე ბავშვი შენიშნა. თბომავალმა მკვეთრი გამაფრთხილებელი საყვირი მისცა, მაგრამ ბავშვი ტაშის ცემით მაკარებლისაკენ გაეშურა. ნიკოლოზ ივანეს-ძემ სასწრაფო დამუხრუჭების სისტემა ჩართო, მაგრამ ინერცია მეტად დიდი იყო და შემადგენლობა განაგრძობდა მოძრაობას. მაშინ მემანქანე ჯახურიდან გადახტა, გაირბინა თბომავლის წინა კიბემდე, თავდაყირა გადაეკიდა, და ბავშვი აიტაცა. მატარებელი კი განაგრძობდა წინსვლას და გაჩერდა მხოლოდ რამდენიმე ათეული მეტრის შემდეგ.

ორი წლის ანდრიუშა ტიაგუნოვის შშობლებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს ნ. ი. სავოსკინს მათი შვილის გადარჩენისთვის. გორკის სახელობელი სადგურის სალოკომოტივო დეპოსადმი ბრძანებით საზრიან მემანქანეს, კომუნისტური შრომის დამკვრელს მადლობა გამოეცხადა და პრემია გადაეცა.

Ვ. ᲘᲝᲜᲝᲕᲘ,
საკ. ᲙᲞᲡ-ის კორ.

ᲕᲐᲯᲘ: ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲕᲘᲜᲔᲑᲗ, ᲓᲐᲒᲐᲚᲔᲕᲘᲜᲔᲑᲗ!

ა. კანდელაკის ნახატი.

— ᲝᲗᲮᲘ ᲓᲘᲓᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲢᲐᲠᲐ!

ᲒᲣᲠᲯᲘ

ა. ᲒᲠᲐᲫᲘᲡ ნახატი.

ᲡᲙᲡᲙᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲐ?

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ რაიონის მაღალმთიან სოფელ თეკალში სახალხო სასამართლოს გამსვლელი სესია დამთავრდა. გამოცხადდა განაჩენი. ბრალდებულ რუბენ გრიგოლის-ძე მუკანიანს სასამართლომ სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

...მაისის მშვენიერი დღე იყო. ბორის მუკანიანი თავის ვაჟს სავალდებულო სამხედრო სამსახურში აცილებდა. ეზოში პირუტყვის, ოჯახისა და ქათმების ხისლის დგარი დადგა. გაცილების პურმარილს მუკანიანების ოჯახი მთელი კვირა ამზადებდა. მამპინძლის ოჯახში ასამდე კაცმა მოიყარა თავი. სუფრას რუბენ მუკანიანი და მისი ოჯახის სამი წევრიც მიუჯდა. წრეგადასული